№ 33 .ᲠᲐᲜᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲒᲘᲜᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ—ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲪᲔᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ № 183

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ № 33

ᲙᲕᲘᲠᲐ, 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1915 Წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲝᲚᲙᲞ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ
(ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ)

ᲨᲢ.-ᲙᲐᲠ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔ (ᲤᲝᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ)
(ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘᲐ)

ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
(ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ)

ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡ ᲝᲥᲕᲐᲜᲘ

ᲞᲘᲔᲡᲐ ᲡᲐᲛ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ

(ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ *)

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ ᲛᲔ ᲓᲘᲓᲐᲗ ᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲠᲐᲪ ᲒᲔᲜᲔᲑᲝᲗ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲮᲐᲠᲗ.

ᲗᲐᲛᲐᲠ. (ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐᲕᲡ) ᲛᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲖᲠᲐᲮᲔ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲪᲜᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲡ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲧᲠᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲫᲜᲔᲚᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲘᲒᲘ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲜᲘᲗ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲬᲘᲒᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ.

ᲗᲐᲛᲐᲠ. ᲓᲘᲓᲐᲗ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲔᲑᲗ. ᲛᲔ ᲣᲡᲐᲗᲣᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲔᲪᲜᲝ ᲘᲛ ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲐᲐᲥᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖᲜᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲘᲓᲐᲗᲐ ᲬᲧᲘᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲐᲖᲠᲘᲡᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲗᲮᲝᲕᲗ (ᲡᲙᲐᲛᲖᲔ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ) ᲔᲮᲚᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲛᲔᲪ ᲛᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔᲗ.

ᲗᲐᲛᲐᲠ. (ᲯᲓᲔᲑᲐ).

ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ.**

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ. (ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲨᲔᲨᲓᲔᲑᲐ) ᲣᲘ!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲓᲔᲓᲐ!.. ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲛᲐᲠᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲒᲕᲢᲝᲕᲔ.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ. (ᲒᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ. ᲓᲐ ᲛᲘᲔᲤᲐᲠᲔᲑᲐ).

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲕᲘᲧᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲥᲝᲜᲝᲓᲐᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲘᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲤᲐᲥᲘᲖᲘᲗ ᲕᲔᲞᲧᲝᲠᲝᲑ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲚᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲔᲮᲔᲑᲘᲐᲠ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲢᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ, ᲠᲐᲙᲘ ᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔ ᲐᲠᲘᲡ, ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓᲐᲪ ᲫᲣᲚᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲗ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ. ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲛᲘᲣᲫᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲠᲗ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲠᲘᲗ ᲕᲔᲞᲧᲝᲠᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔ. ᲐᲖᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲢᲠᲝᲑᲐᲡ. ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲣᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲕᲔᲕᲐ, ᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲨᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲘᲓᲣᲚᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ. ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲑᲗ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲯᲘᲡ ᲪᲔᲛᲐᲡᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲜᲐ ᲡᲓᲔᲕᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲯᲘᲣᲢᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ, ᲛᲘᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲘᲤᲐᲠᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲑᲠᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲠ ᲛᲔ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲗᲥᲕᲔᲜᲘᲪ; ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲒ-ᲑᲜᲔᲚ ᲪᲐᲖᲔ, ᲛᲝᲪᲘᲛᲪᲘᲛᲔ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲕᲘᲗ ᲑᲠᲬᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲓᲒᲐᲠᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗ ᲛᲢᲔᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲡ ᲐᲖᲐᲜᲖᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲝ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ ᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲒᲔᲚᲝᲑᲜᲔᲜ ᲒᲖᲐᲨᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ-ᲛᲝᲭᲛᲣᲚ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘᲓᲐᲜ. ᲐᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲗ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐ�გᲠᲔ ᲠᲘᲒᲐᲓ ᲜᲣ ᲣᲬᲧᲠᲔᲑᲗ. ᲗᲣ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲐᲫᲔ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲪ ᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲠᲓᲐ. (ᲐᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲚᲔᲝᲡ ᲬᲘᲒᲜᲡ) ᲐᲚᲑᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲠᲐᲙᲘ ᲐᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲫᲣᲚᲔᲑᲘᲕᲐᲠᲗ, ᲘᲛᲔᲓᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲪ ᲒᲣᲚᲡ ᲓᲐᲒᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲗ.

ᲗᲐᲛᲐᲠ. (ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ) ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲩᲔᲛᲝ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲔ ᲨᲔᲣᲒᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲪ ᲛᲝᲒᲐᲧᲔᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲞᲐᲢᲘᲔᲗ! ᲔᲡ ᲤᲘᲥᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲡᲕᲚᲘᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲗ!

ᲗᲐᲛᲐᲠ. (ᲮᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲡ ᲬᲣᲗᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ) ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ, ᲥᲔᲜᲝ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲑᲝᲫᲔᲗ ᲛᲘᲒᲐᲪᲘᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝᲛᲓᲘᲡ.

ᲗᲐᲛᲐᲠ. ᲐᲠᲐ, ᲜᲣ ᲡᲬᲣᲮᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ.

* ᲘᲮ. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ № 32.

პოდპ. დიმიტრი სვიმონის ძე ანანიაშვილი (დაჭრილია)



პოდპ. ივანე სვანიძე (დაჭრილია)

თამარ. რახან ასეა, ინებეთ.

გიორგი. (დედას) დედა! მე ეხლავე მოვალ, სტუმარს გავაცილებ. (ზრდილობიანად გზას მისცემს და თითონ უკან გაჰყვება. მიეფარებიან).

შემოდის **სალომე.**

სალომე. (გადის აივანზე. თვალს გააყოლებს ჩვეულებრივად. ერთი წუთით დგას, მერე გამობრუნდება, შევა ოთახში, იქიდან სასადილო ოთახში სუფრას აწყობს. მცირე პაუზა).

ისმის კესოს ხმა ეზოში. დედა, დედა!

სალომე. (გამოდის აივანზე).

კესო. დედილო, გაიხარე, ლეო მოგვივიდა.

სალომე. ვაი შენი ჭირიმე, შვილო! (გარბის).

კესო. ნელა დედა, ნელა, არ დავარდე, თორემ უკან გავაბრუნებ. (ეზოში ისმის ჟივილ-ხივილი).

სალომე, ლეო, ოქრო და კესო.

(თან შემოაქვთ მეეტლეს დახმარებით ლეოს ბარგი-ბარხანა. აივანზე დასდებენ).

სალომე. (ლეოს) გამოიარე ჩქარა, ერთი სინათლეზე გნახო. (შემოვლენ) ჩემი ბიჭიკო, ჩემი თვალის ჩინი! (მიიხუტებს გულზე) ულვაშები რო შეგიკრეჭია ეს კი არ მომწონს, შვილო.

ლეო. (ნელა ჩაიცინებს) რას იზამ, დედა, ევროპაში ყველა ასე დადის. თუ) მაინცა და მაინც არ დაგიშლია, იყოს ნება შენი, ისევ მოვუშვებ.

სალომე. რა თქმა უნდა, გენაცვალოს დედა, თორემ რის მაქნისია ულვაშებ-შეკრეჭილი ვაჟკაცი. დიაცი ხომ არა ხარ.

კესო. დედა! გიორგი სად არის?

სალომე. უი, მართლა, თქვენი წასვლის შემდეგ იცით ვინ გვეწვია?

კესო. ვინ?

სალომე. (საიდუმლოთ) აბულაძიანთ ქალი.

ლეო. (ოდნავ შეკრთება და ყურებს აცქვეტს).

ოქრო და კესო. მართლა?

სალომე. თქვენს მზესა ვფიცავ. მოვიდა, რაღაც ილაპარაკეს და წავიდა.

კესო. გიორგიმ ალბად გააცილა?

სალომე. აბა, უმაგისობა როგორ იქნება (ლეოს) შვილო! ამოიღე ხმა, როგორ პატარძალივით ჩაპუწკულხარ?

კესო. აცალე დედა, კაცი დაღლილია. ესეც, რომ არ იყოს განა არ იცნობ ლეოს გულ-ჩახვეულობას?

სალომე. მაპატიე, შენი სულის ჭირიმე, მაპატიე. ამდენი ლოდინის შემდეგ, რომ ცოტა მეტი წამომცდეს რა გასამტყუნარი ვარ?

ლეო. არა უშავს რა, დედა, არა უშავს.

სალომე. (კესოს) აბა, ლეოს იმედია გაუზიარე შენი სიხარული? (ოქროს უღიმის).

ლეო. ო, როგორ არა და დიდათაც გავიხარე.

სალომე. აბა, ეხლა მოდი, ხელ-პირი დაიბანე. საცაა შენი ძმაც მოვა და ვახშამიც მზად იქნება. კესო! შენ კი სუფთა პირ-სახოცი მოართვი.

ლეო და სალომე. (შედიან სამზარეულოში).

კესო. (ოთახში შედის და იქიდან გამოარბენინებს პირ-სახოცს).

ოქრო. (აივანზე გავა და ბოლთასა სცემს. ისმის სიცილი სამზარეულოში. მცირე პაუზის შემდეგ გამოდიან სამნივე).

ლეო. კესო! აბა ეხლა ჩემი ილიკო მანახვე.

კესო. წამო! რომ იცოდე, როგორ ენატრებოდი საწყალს. (ოთახში შევლენ და ისევ მალე გამოვლენ. კარებს ფრთხილად მიჭხურავენ).

ლეო. გაზრდილა, ბიჭი, გაზრდილა! (პაპიროსს გააბოლებს).

კესო. (ქეთოს სურათზე) ამას ჰხედავ?

ლეო. ვისა?

კესო. იმას, ვისაც ყველაზე ძლიერ ეინტერესებოდა შენი მომავალი.

ლეო. (ერთს შეჰხედავს სურათს და ისევ მალე მოარიდებს თვალს) სხვა, მიამბე, რა არის ახალი ჩვენ ცხოვრებაში?

კესო. რომელი ერთი გითხრა, ძმაო. მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, ჩვენი ცხოვრება ჩქარის ნაბიჯით მიექანება წინ. ჩვენში ეხლა თითქმის ყველა ფრონტზე შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. რომელი დარგიც უნდა აიღო, ყველგან სიცოცხლე და მოძრაობაა. ახალი თაობა ებრძვის ძველებს, ახლებიც ურთ-ერთს უჩხიკინებენ. ერთი სიტყვით დიდ ამბებში ვართ! აშკარაა ქართველნი მარტო თეორეტიკოსობას აღარ სჯერდებიან და ამ ბოლო დროს პრაქტიკული მოღვაწეობის დროშაც ააფრიალეს. ახ ლეო, რომ იცოდე როგორის მოუთმენლობით მოველოდით, როგორ ვოცნებობდით, რაც შეიძლება ჩქარა გვენახე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული. (წამის შემდეგ იღებს მაგიდიდან დიდს წიგნს და უჩვენებს) ამ წიგნის შესახებ ხომ არაფერი იცი?

ლეო (ულვაშებში ჩაიცინებს ცბიერად) ჰო, გავიგე, რაღაც წიგნი გამოსულა, საცა გიორგის ამათრახებენ თურმე.

კესო. აი, ამ ხანად ესაა ახალი ამბავი. ყველას ეს აკერია პირზე.

ლეო. ბიჭოს, ბიჭოს! რაო, გიორგი პასუხს არ ამზადებს?

კესო. არ ვიცი. ჯერ კი არას ამბობს. არა, პასუხის გაცემა, მე თუ მკითხავ, შენი ვალია. შენ უნდა დაუმტკიცო მტრებს შენი პრინციპის სიდიადე.

ოქრო (აივნიდან) კესო, გიორგი მოდის.

კესო. მართლა? ღმერთო, ჩემო! რა სიხარული მოელის. (წინ აეფარება ლეოს).

გიორგი.

(გამოჩნდება კარებში).

კესო. გიორგი, მანდ დადექ! მინდა რამე გახარო.

გიორგი. აბა? (მთვარემ სულ გაანათა არე-მარე)

კესო. (ჩამოეცლება დედას გაბრწყინვებული გიორგი პირს განზე მიიბრუნებს).

კესო. ღმერთო ჩემო! ეს კაცი ხომ არ შეიშალა? გიორგი, ძმაო! აქეთ მოიხედე! ლეო მოგვივიდა, ჩვენი სანატრელი ლეო.

გიორგი. (ლეოს) მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ აბულაძისტებიდან მართლა იღებდით ფულით დახმარებას?

ლეო. მართლა.

გიორგი. რა საჭიროებამ მოითხოვა?

ლეო. ეს ჩემი უფლებაა.

გიორგი. მართალი ხართ. (აიღებს წიგნაკს მაგიდიდან) ამის ავტორი ვინ არის?

ლეო. (ამაყად) თქვენი უმორჩილესი მონა.

კესო. (შეჰკივლებს და გაშეშდება).

ოქრო. (იმავე დროს) ახ!

გიორგი. კესო! ეს კაცი ჩვენი ძმა იყო. (ლეოს) დაიხურე ეგ ცილინდრი და წადი შენს მესაფლავეებთან.

ლეო. მე მართლაც წავალ, რადგან შენისთანა ფანატიკოსთან ერთად ყოფნა ფრიად აუტანელი იქნებოდა ჩემთვის. ხოლო ნუ გგო-

ვლადიმერ ლოლაძე (მოკლულია)

პრაპ. გიორგი ახმეტელაშვილი (დაჭრილია)

ჯარის-კაცი ისაკ ზაქარიას ძე მჭედლიშვილი
(ჭრილობებისაგან გარდაიცვალა)

ჯარის-კაცი კ. ყულჯანაშვილი
(დაჭრილია)

ჯარის-კაცი თედო ხელაშვილი
(უკვალოდ დაიკარგა)

ნია ამით დასრულდეს ესე ზღაპარი. არა ეს ბრძოლის პირველი ეტაპია მხოლოდ, დანარჩენზე შემდეგ მოგელაპარაკები. (მიდის).

კესო. მშვიდობით, ჩვენო დაკარგულო იმედებო! (მწარედ ქვითინებს).

სალომე. (გამოჩნდება) აბა, შვილებო, ვახშამი მზად არის.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე.

იგივე სცენა.

(შებინდებაა. ლამფები ანთია ზალაში, მარცხენა ფანჯარასთან სდგას სუფრა გადაფარებული მაგიდა. ფარდის ახდისას ელავს, მოისმის შორს ჭექა-ქუხილიც).

კესო. (წვრილ თეთრეულობას აუთოებს).

ტატე. (ბარგით გავსებულ მაფრაშას ჰკრავს).

კესო. წვიმა დაუშო. გესმის წკაპა-წკუპი?

ტატე. მესმის. (შეკრულ მაფრაშას კუთხეში მისდებს) აჰა, ესეც მოვრჩი. აბა, მოიგონე, კიდე ხომ არა დარჩა-რა.

კესო. ვგონებ ყველაფერია.

ტატე. ამ დანარჩენ ხარა-ხურას რაღას უპირებთ?

კესო. ბინას დავჰკეტავთ და სოფლიდან დაბრუნებამდე სახლის პატრონს ებარება.

კესო. (უეცრივ) სუს! ვგონებ მეძახის. აბა, მიდი კარებთან!

ტატე. (მივა და ოდნავ კარებს შეაღებს და სმენად იქცევა) ვგონებ დაახველა. (გამობრუნდება) ჯანზე ხომ კარგათაა?

კესო. საქმეც ეგაა, რომ ვერაა თავის ჯანზე.

ტატე. რა მოსვლია, საშიში ხომ არაფერია?

კესო. ექიმები გვარწმუნებენ არაო და ისე კი ვინ იცის. დაღლილია უთუოდ.

ტატე. ფიქრი არაა. აი ამ ზაფხულს სოფლის ჰაერი იმედია სრულიად გამოაბრუნებს.

კესო. ჩვენც მაგის იმედი გვაქვს. რასაც ეს შრომობს... მიკვირს ფეხზე როგორა სდგას.

ტატე. მაგეთი გაუტეხელი კაცი იშვიათია სწორედ. (ფანჯრიდან კარში იცქირება) წვიმა გადაუღია.

კესო. შეხე, როგორ აგრილდა. მალე მთვარეც ამოვა, ცაც ვარსკვლავებით მოიქარგება. (შესუნთქავს) რამდენი ჰაერი, რამდენი სიცოცხლე. შენი გულისა! სხვა! ბიჭიკოს მამა ძლიერ ენატრება? ხომ არ მოიწყინა, ხომ კარგად ერთობა?

ტატე. ძალიან კაი გუნებაზეა, თუმცა ჩაყვანისას ორიოდე დღე თითქოს შუბლი შეიკრა, მაგრამ მალე გაერთო ბალღებში და ეხლა იმისი ყიჟინი მთელ სოფელს იკლებს. დასდევს ჩიტებს, პეპელების სინსილა ხომ სულ გააწყო.

კესო. არ იძახის თავისებურად „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“?

ტატე. განა მარტო მაგას. ლექსების გუდაა, მე და ჩემმა ღმერთმა. ძალიან ცელქი ბიჭია ამას წინედ რაღაც ბედად ჩვენებიანთ კოსტა რომ არ შესწრებოდა, დავიღუპებოდით კიდეც.

კესო. რა მოხდა?

ტატე. კინაღამ დაგვეხრჩო შხრიალაში.

კესო. უიმეე!

ტატე. ცელქია, მაგრამ სამაგიეროდ იშვიათი ჭკუისაა. მაგეთი ბალღის მნახველი არა ვარ ჯერ. რო ვაკვირდები, გაოცებული ვრჩები. ამ ერთ ციცქნა ბიჭს ასეთი სიტყვა-პასუხი აქვს, გეგონება დიდი ჭირ-ნანახი ვინმეაო.

კესო. ენაცვალოს მამიდა! ჯერ გაიგე ვისი დედ-მამის შვილია და! ახ ნეტავი ერთი მალე მივიდეთ სახლში.

ტატე. ვითომ რა დაგიშლის?

კესო. რა ვიცი. ამ ბოლო დროს რაღაც ყველაფერი მეშინიან. ჩვენ ისეთი ბედისანი ვართ, რომ ვინ იცის საიდან რა წამოგვიქროლებს. ყოველ ზარის ჩამოკვრაზე შიშითა ვკანკალებ ხოლმე.

ტატე. წინეთ კი უფრო გულ-მაგარი იყავი. შენც დასვენება გინდა.

კესო. უნდა იცოდე, როგორ მენატრება ერთი ჩვენს შხრიალაში ბანაობა. (დაუთოებულ თეთრეულს გადაჰხედავს) ესეც ასე. ეხლა გიორგის საზაფხულო პალტოს შეკეთება ღა მიკლია. (შეუდგება) მართლა ტატე, ბადე ხომ იყიდე?

ტატე. ვიყიდე, მაშ! (მცირე პაუზა) ლეოსას რას იტყვი?

კესო. ო, ის ეხლა დიდი ვინმეა. ორას თუმნიან ალაგში ჩააყენეს. ასეთი კაცების დაფასება იმათ კარგად იციან. ხან და ხან რაღაც ლექციებსაც აკითხებენ ხოლმე. უვლიან, ანებივრებენ. ერთი სიტყვით მისი პირადი კეთილ-დღეობა სრულიად უზრუნველყოფილია.

ტატე. შენ და სალომე არა ნახულობთ?

კესო. ვნახულობდით ხოლმე წინად, ეხლა კი აღარ. მე უბედურს მეგონა გონს მოვა, მეთქი, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდი. რაკი კაცს ერთხელ დაუცურდება ფეხი, მისი საქმე წასულია. სრულიად, გამოიცვალა სრულიად.

ტატე. გიორგი?

კესო. იმის მერე მასთან ლეოზე კრინტის დაძვრასაც ვერა ვბედავთ. ისე ვართ თითქოს არცა გვყოლოდეს ოდესმე.

ტატე. გინდა, რომ შერიგდნენ?

კესო. (ამოხვრით) მინდა, როგორ არ მინდა.

ტატე. შენს ოქროს რომ მოენდომებინა, განა ვერ შეარიგებდა?

კესო. ვსთხოვე, მაგრამ უარი მითხრა. „ნუ გამრევ მე მაგ საქმეშიო“. აი, ვნახოთ დედა რას იზამს. დღეს უნდა მოიყვანოს აქ და როგორმე შეარიგოს.

ტატე. აბულაძიანთ ქალს ირთავსო, მართალია?

კესო. ვინა, ლეო?

ტატე. ჰო.

კესო. ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ...

ტატე. რა?

კესო. იმ ქალს სხვა უნდა უყვარდეს.

ტატე. იქნება გიორგიმ უბრუნა გული?

კესო. წარმოიდგინე, მეც ასე ვფიქრობ.

ტატე. სეირი თუ გინდა ესაა სწორედ. კაცს თავისთვის უნდოდა, ერთიც ვნახოთ გიორგიმ კი ჩაიგემრიელოს პირი. აბა ნახავ, თუ ამ ამბავმა ქვეყანა არ ააყაყანოს.

კესო. იმ დღიდან მოკიდებული, რაც ჩვენსა პირველად იყო და გიორგისთან პირის-პირ ლაპარაკი მოუვიდა, თამროს ველარ სცნობენ თავისიანები. რაღაც მოიწყინა, თურმე შელაპარაკება მოსდის ტ.ის არა მკითხე თაყვანის მცემელნიც უფრენია. ჰკითხულობს ბევრს განსაკუთრებით კი იმ ცნობილი ბრძოლის ისტორიას ეცნობა თურმე. თამარი ძალზე ნიჭიერი და ჭკვიანი ქალია! იმას შენ ნუ ეხუმრები.

ტატე. მე შენ გითხრა, გვარი არ უვარგა.

კესო. სხვათა შორის ემჩნევა, რომ ეძებს შემთხვევას ხშირად ინახულოს გიორგი. მას მერე ბარე ოთხჯერ იყო ჩვენსა. უნდა ნახო რა გულწრფელი სიხარული აღიბეჭდება მის სახეზე, შემოსდგამს თუ არა ფეხს. (პალტოს დაკერებასაც მორჩება) ეხლა ვგონებ ყვე-

ლაფერი მზადაა. (პალტოს ტატეს გადასცემს) დაჰკიდე! (აიღებს თეთრეულს ხელში). ეხლა აჰხადე ამ შავ ჩემოდანს. (ჩააწყობს შიგ, მერე დაჰკეტავს) სუ! ვგონებ ეტლი გაჩერდა ჭიშკართან.

ტატე. ოქრო თუა თავისი ბარგით.

კესო. სწორედ. აბა ტატე!

ტატე. (გადის საჩქაროდ).

კესო. (დგას ფანჯარასთან).

(მცირე პაუზის შემდეგ. შემოდის ტატე, შემოაქვს ერთი დიდი შავი ჩემოდანი და მაფრაშასთან მისდებს კუთხეში, შემოჰყვება ოქრო, რომელსაც ხელში უჭირავს რაღაც ქაღალდში გახვეული ფაქიზად და გადასცემს კესოს სიფთხილით. მერე ჩემოდანზე უჩვენებს)

ეს არის და ეს. ჩემი ავლა-დიდება, კურდღელს აეკიდება.

ტატე. არა ძმაო თავს ნუ იკატუნებ, თუ საქმე გაჭირდა ეს ჩემოდანი 500 კურდღელსაც სულს გააფრთხობინებს.

ოქრო. ნუ თუ მართლა! ეს კაი იმედია. სჩანს არც ისე ღარიბი ვყოფილვარ.

კესო. (ახალ შლიაპაზე მიუთითებს, რომელიც ოქროს თავზე ჰხურავს) ახალი შლიაპა?

ოქრო. (მოიხდის) ჰო, შესანიშნავია განა!

კესო. (ჩამოართმევს და ათვალიერებს) არა უშავს-რა.

ოქრო კესო, კესო! აბა რას ამბობ! „არა უშავს“ კი არა, მთელი პროსპექტი მე მომჩერებოდა.

კესო. რა მიეცი?

ოქრო. რვა მანეთი.

კესო. (იტკეცს) ღმერთო ჩემო!

ოქრო. რაო, გეძვირა?

კესო. ოქრო! რვა მანეთი ასეთ შლიაპაში, ეს ხომ დაქცევაა.

ოქრო. აბა რას ამბობ ჩემო კარგო! არა, ყველაფერში ყოჩაღი ხარ, მაგრამ მამა-კაცების შლიაპებისა კი არა გცოდნია რა.

კესო. დარწმუნებული ვარ, რაც დაგიფასეს აიღე და უსიტყვოთ ჩაუთვალე.

ოქრო. უსიტყვოდ, უსიტყვოდ. შევაჭრება ხომ მისი შეურაცყოფა იქნებოდა. როგორ შეიძლება, უცნობ კაცს აიღო და ისე თანარიახნად ტყუილი დასწამო.

კესო და ტატე. (იცინიან).

კესო. (ტატეს) აი რა გულ-უბრყვილოა.

ტატე. და ამაშია სწორედ მთელი მისი სილამაზე

ოქრო. რაკი შენ ასე შემაქე, მოდი ერთი გავაბოლოთ. (უთავაზებს პაპიროსს და თითონაც ჩაიდებს ერთს პირში) სხვა, აქ როგორაა საქმე? ხომ ყველაფერი რიგზეა?

კესო. უკვე. ეხლა მატარებელში ჩასხდომა-ღა გვაკლია მხოლოდ.

ოქრო. კეთილი და პატიოსანი. (საათს დაჰხედავს) ეხლა ერთ ადგილას კიდევ ვარ წასასვლელი და ჩემს დღევანდელ ტანტალსაც ბოლო მოეღება.

კესო. ძლიერ საჭიროა?

ოქრო. ძლიერ, ძლიერ. ჰო, მართლა კესო, დღეს რაღაც უნდა გეთქვა გუშინდელ ჩემს ფელეტონზე. არ მოგეწონა?

კესო. არა, მშვენიერი იყო, როგორც ყოველთვის, ჩემო კარგო, მშვენიერი, მაგრამ...

ოქრო. ოხ ეს წყეული „მაგრამ“.

კესო. ნუ გეშინიან. მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ გაუსწორებელი მეტაფიზიკოსი ხარ.

ოქრო. (მხრებს აიჩეჩს) რა ვქნა, თუ კი ეს ნაწილია ჩემი მსოფლ-მხედველობისა!..

კესო. განა რასმე გისაყვედურებ. არა; ისე სიტყვამ მოიტანა. ყველაფერში შენთანა ვარ, მაგრამ ჯვარს რო მაცვა, მეტაფიზიკას მაინც ვერ ვიწამებ. ო, მაგ ნიადაგზე ჩვენ დაუსრულებელი კამათი გვექნება.

ოქრო. რა თქმა უნდა. ამ მხრივ მე სულ სხვა ვარ, შენ სულ სხვა ხარ.

კესო. იცი ოქრო, გიორგისა ჰგონია, რომ მე შენ მიმართულებაში გენათესავები. რას იტყვი?

ოქრო. ჩემის ფიქრით—უფრო იმას, ვიდრე მე. ჩემს ნაწერებში შენ მოგწონს მხოლოდ ის რაც ასე თუ ისე უახლოვდება შენი ძმის პრინციპებს.

კესო. სიმართლე გითხრა ეს კითხვა ჯერ ჩემთვისაც გამოურკვეველია. ჩემი არსება თქვენ ორათ გაჰყავით და ეს ალბად იმიტომ, რომ ჩემი აზრით თქვენ მხოლოდ ერთი მეორის დამატება ხართ და ცალ-ცალკე არ შეადგენთ რაიმე მთელს.

ოქრო. შეიძლება, შეიძლება. აბა, ეხლა კი წავალ.

კესო. ვინძლო არ დაიგვიანო.

ოქრო. არა, ჩემო ნუგეშო, არა. (მიდის. იმავე დროს შემოდის სალომე).

კესო აი, დედილოც.

სალომე. (ოქროს) საით? რა დროსია?

ოქრო. მე მალე, ძლიერ მალე გიახლებით. (გადის).

სალომე. (მიიხედ-მოიხედავს) უკვე? აი გიშველათ ღმერმა! (ჩამოჯდება ტახტზე) შვილო! გიორგი ადგა?

კესო. ჯერ არა.

ტატე. (აივანზე გავა).

სალომე. გაალვიძებდი ქა! ვის გაუგონია ამდენი ძილი? აწყენს.

კესო. დამენანა, ისე გულიანად ხვრინავდა, რომ...

სალომე. იჰ, ხვრინავდა კი არა, ის არ გინდა (შეაღებს ოთახის კარებს) შვილო, გიორგი, ადექ, ლამის შემოგათენდეს. (ისმის მამადავითის ზარის რეკა).

კესო. (შეკრთება) უხ, როგორ შემეშინდა.

სალომე. (პირჯვარს იწერს) მესმა უფალო, ხმა შენი, მესმა უფალო.

კესო. ასე გვიან ლოცვა?

ტატე. ალბად ღამის ყარაულია.

სალომე. (შედის სამზარეულოში, იქიდან აივანზე) „მართა, მართა! დედაშვილობას არ დაივიწყო მე რო გთხოვე; აკი გითხარ დილით ადრიან მეთქი“.

გიორგი. (გამოდის ოთახიდან თვალების სრესით, საათს დახედავს) უხ, რა ბევრი მძინებია. კესო! შე ულმერთო, გამაღვიძებდი. (ფანჯარასთან მივა და ჰაერს ისუნთქავს). გრილა. ხომ არ უწვიმია?

კესო. ცოტა. იცი გიორგი, ანიკომ შენი საყვარელი ოსმალური ყავა მოგვართვა.

გიორგი. მართლა?

კესო. იმდენია, რო მთელ ზაფხულს გეყოფა.

გიორგი. სასიამოვნოა.

კესო. შენი პალტოც ისე შევაკეთე, რომ ახალში ვერც კი გამოარჩევ.

სალომე. (შემოდის) შვილო! გცალიან? მინდა მოგელაპარაკო.

გიორგი. გისმენ, დედა, სთქვი! (საწერ მაგიდას მიეყრდნობა).

სალომე. აი, რა შვილო: ვგონებ კარგად იცი, რომ შენს საკუთარ საქმეებში არასოდეს არ ვერეოდი და არც თუ რასმე გიშლიდი ჩემდათავად, თუმცა ვერ დაგიფარავ, გუნებაში ზოგი შენი საქციელის გამო მაინცა და მაინც დიდი მადლიერი არც წინედ ვყოფილვარ და არც ახლა. მაგრამ რაც იყო, იყო, ღმერთმა შეგარგოს. ეხლა კი ისეა საქმე, რომ გაჩუმება აღარ შემიძლიან.

გიორგი. რა მოხდა, დედა?

სალომე. შვილო! როდემდინ უნდა ვიყოთ ამ დღეში? ოჯახი მიდის ხელიდან და თუ დროზე არ გავამაგრეთ, დაქცევას არა უკლია რა.

გიორგი. შენ მაინც არ ამბობ იმას, რაც უნდა გეთქვა.

სალომე. იქონიე ცოტაოდენი მოთმინება და ყველაფერს გეტყვი. ვიცი შენ ამაზე შემიფუცხუნდები, მაგრამ სულ ერთია გეტყვი. ამდენ მოთმენას, გულის ნადები ერთხელ გადმოვანთხიო ისა სჯობიან. დღეს პირველად ვინახულე ჩემი ლეო მის ბინაზე. კარგად ყოფილა მოწყობილი, ენაცვალოს დედა. მოსვლა უნდა, შერიგება სწადიან გულით, თუ რა თქმა უნდა შენ არ შერისხავ და თავაზიანად დაუხვდები. შე!ცდა კაცი, რა ვუყოთ მერე, თუ კი მოინანიებს, უნდა აპატიო. იცოდე შენზეა ეხლა დამოკიდებული ჩვენი დაქცევაცა და აშენებაც. ნუ დაივიწყებ, რომ ყველას პატრონი გვინდა. ხომ ჰხედავ, კაცი არაა შენი შემბრალე. ყველამ მოგიძულა. თუ კი ძმას მოიგლეჯ გულიდან, სადღა გინდა თავი შეაფარო? „ქვეყნის სატირალს ცენტერაძის მოლოზანი სტიროდაო“,—ნათქვამია და შენი საქმეც ისეა სწორედ. დროა საკუთარ საქმესაც მოჰკიდო ხელი და მით დედის გულიც გაახარო. მაკმარე ამდენი ვაება და იმ ბიჭის ჯავრს ნუ ჩამატან საფლავში.

გიორგი. დაგვიანებულია.

სალომე. რატომ, შვილო?

გიორგი. მიტომ, რომ ჩემი გული მისთვის საუკუნოდ დაიხურა და რაც ნაკლებათ მომიგონებთ, მით უკეთესი.

(დასასრული იქნება).

ტრ. რამიშვილი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ბუხრანის ქუჩა, № 1 ტპაბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე**